ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N38

24.05.2024 წელი **ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი N2**
12:00 საათი **საკონფერენციო დარბაზი**

მიმდინარე წლის 24 მაისს, 12:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამ ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი) და **ანა კილაძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 4 (ოთხი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, ანგარიშის მოსმენა (საანგარიშო პერიოდი, 2024 წლის I-ლი კვარტალი).
   მომხსენებელი - ირაკლი გვილავა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომა წარიმართა **განათლებისა და კულტურის კომისიასთან** ერთად.

კომისიების გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გურამ ოქროპირიძე.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში, კომისიას, მერიის

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

ირაკლი გვილავა - მოგესალმებით, 2024 წელს მიმდინარე პროექტების დავალებების შინაარსობრივ ნაწილს მინდა შევეხო. მოგეხსენებათ, რომ სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობის (08 06 04) ნაწილში, გრძელდება მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოების ორ ლოკაციაზე, დიდი დიღომში და ვარკეთილში, ვარკეთილის მულტიფუნქციურ კომპლექსში სრულდება სამუშაოების პირველი ეტაპი, ვემზადებით მეორე ეტაპის სამუშაოებისთვის, რომელიც მიმდინარე წლის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს. რაც შეეხება დიდი დიღმის მულტიფუნქციურ ცენტრს, ტენდერის შესაბამისად უკვე გვყავს ჯგუფი, რომელიც მეორე ეტაპის შიდა სამუშაოებს ასრულებს, პროცესი მიმდინარეობს შესაბამისი გეგმა-გრაფიკით. გვაქვს შესაძლებლობა, რომ ტესტ-რეჟიმში მუდმივად ჩართული იყოს ცენტრი, ვინაიდან საკმაოდ დიდია შენობა-ნაგებობა და შესაბამისად მოსალოდნელია რისკებიც. ვფიქრობთ შემოდგომაზე, სექტემბერში, გაიხსნება დიდი დიღმის მრავალფუნქციური სპორტული ცენტრი. რაც შეეხება ლადო ასათიანის ქუჩაზე მიმდინარე მშენებლობას, კონტრაქტორმა დაასრულა სამუშაოების პირველი ეტაპი, შენობა-ნაგებობაც ტესტ-რეჟიმში მუშაობს. მიმდინარე მშენებლობებისთვის ინვენტარის შესყიდვის პროცესი ფაქტობრივად ახალი წლიდან დაწყებულია და უწყვეტად მიმდინარეობს, როგორც ავეჯის ისე სპორტული ინვენტარის მოწყობა, ეს პროცესი ვარკეთილშიც და დიდ დიღომშიც ხორციელდება. მინდა მოგახსენოთ, რომ სახანძრო უსაფრთხოების კუთხით რამდენიმე თვის წინ დავიწყეთ პროფილურ კომპანიასთან თანამშრომლობა, ექსპერტებთან გავიარეთ კონსულტაციები და მოვითხოვეთ დამატებითი დასკვნა 112-დან, აკმაყოფილებდა თუ არა სახანძრო უსაფრთხოების ნორმებს შენობა-ნაგებობები. მოვიდა შესაბამისი რეკომენდაცია, თუ რა კომპონენტია საჭირო, რომ პროექტი სრულად იყოს გამართული.

რაც შეეხება ლილოში მიმდინარე სპორტული ცენტრის მშენებლობას, მოეწყობა საჭიდაო და ფიტნეს დარბაზები, პირველ კონტრაქტორთან მოგვიწია ვალდებულებების გაწყვეტა, თუმცა აქაც ახალი კონტრაქტორი განაგრძობს სამუშაოებს, სექტემბერში უნდა დასრულდეს, ყველა რისკის გათვალისწინებით, შემდგომ უკვე რესურსების მობილიზებით შევძლებთ მის აღჭურვას. ასევე, მიმდინარე წელს მოვახერხეთ ა(ა)იპ ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის, სტრუქტურული ერთეულის გლდანის საცურაო აუზის რემონტის დასრულება და ტექნიკური პრობლემების აღმოფხვრა, ასევე დასრულებულია სარემონტო სამუშაოები მუხიანის რაგბის ბაზაზე. ამ ეტაპზე გეგმაში გვაქვს თემქის სპორტ კომპლექსის რეაბილიტაცია, იქაც არის გარკვეული ტექნიკური პრობლემები და ზაფხულში მოხდება მისი დახურვა და სრულად შეკეთება.

პროგრამის სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქციის (08 06 03) ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა, დიდ დიღომში და ვაზისუბანში სკეიტ-პარკების მშენებლობა, სამუშაოები დასრულებულია და ველოდებით მიმდებარე ტერიტორიების მოწესრიგებას, ოფიციალურად გაიხსნება მას შემდეგ, რაც სრულად დასრულდება პერიმეტრის კეთილმოწყობის სამუშაოები. თბილისში, წელს ისნის რაიონში გაიხსნა სამი პადელის მოედანი, გვინდა, რომ აღნიშნული ტერიტორია სხვა სპორტის სახეობებითაც დაიტვირთოს, მათ შორის კალათბურთის, ფრენბურთის და სკეიტ მოედნებით. გვსურს, რომ კორტების მიმდებარე ტერიტორიას სპორტული სკვერის ფუნქცია შევძინოთ. ევროპის ბევრ განვითარებულ ქალაქში, გვხვდება მსგავსი სკვერები, სადაც ერთ სივრცეში იქნება სხვადასხვა სპორტული სივრცე და

დასვენებისთვის საუკეთესო გარემო ჩვენი მოქალაქეებისთვის. ასევე მიმდინარეობს ვაზისუბნის დასახლებაში ფეხბურთის მოედნის მოწყობის სამუშაოები.

ასევე, მინდა შევეხო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამგორის ფილიალში მიმდინარე რეაბილიტაციის პროცესს, რომელიც მიმდინარე წლის 15 ივნისის დასრულდება, შესაბამისად, შემდეგი სასწავლო წლისთვის სამგორის ფილიალიც განახლებული ინფრასტრუქტურით განაგრძობს მუშაობას.

რაც შეეხება კონკრეტულად სპორტის მიმართულებით არსებულ სხვა პროგრამებს **სპორტული ღონისძიებები (08 06 01)** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თბილისის 21 სპორტული ფედერაცია და საქართველოს ეროვნული 30 სპორტული ფედერაცია. სულ დაფინანსდა 72 პროექტი, განხორციელებულ პროექტებში მონაწილეობა მიიღო 14 895 ბენეფიციარმა (მ.შ 12 010 კაცმა, 2 885 ქალმა), თბილისში მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით, განხორციელდა 19 სპორტული ორგანიზაციისთვის საჭირო ინვენტარითა და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა, ინვენტარით და ეკიპირებით ისარგებლებს 3 702 ბენეფიციარი.

2024 წელს დაჯილდოვდა 2023 წელს ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებზე მიღწეული წარმატებისთვის 115 თბილისელი სპორტსმენი (მ.შ. 89 კაცი, 26 ქალი), ასევე დაჯილდოვდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მიღწეული წარმატებისთვის 4 ქალთა გუნდი.

მწვრთნელთა მხარდაჭერა (08 06 02) საანგარიშო პერიოდში ფინანსური მხარდაჭერა გაეწია სპორტულ დაწესებულებებში მომუშავე, თვეში საშუალოდ 345 მწვრთნელ - მასწავლებლებს, რომლებიც სპორტის 49 სახეობაში ავარჯიშებენ მოზარდებს.

წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება (08 06 05) საანგარიშო პერიოდში 32 სპორტის სახეობაში დაფინანსდა 18 წლამდე ასაკის სხვადასხვა ჩემპიონატში გამარჯვებული, თვეში საშუალოდ 241 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი.

პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა (08 06 06) საანგარიშო პერიოდში ცენტრში მიმდინარეობდა საწვრთნელი პროცესი, საერთო ჯამში, პროცესში ჩართული იყო თვეში საშუალოდ 235 ბენეფიციარი და 18 მწვრთნელი. 2024 წლის დასაწყისიდან საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა მიღებული აქვს 3 პარასპორტსმენ ქალს. ცენტრში ვითარდება 13 პარასპორტული სახეობა.

სპორტი უფროსი თაობისთვის (08 06 07) 60 წლის და 60 წელს გადაცილებული მოქალაქეებისთვის ფიზიკური აქტივობისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით, როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში არსებულ სპორტულ ცენტრებში, ასევე კერძო სპორტულ ცენტრში პროგრამით სარგებლობს, თვეში საშუალოდ 500-მდე ბენეფიციარი.

რაც შეეხება ახალგაზრდულ ნაწილს, საანგარიშო პერიოდში **ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (08 08 01) პროგრამის ფარგლებში** დაფინანსდა სხვადასხვა პროექტები, მათ შორის: პროექტი „Students' night", რომელსაც 5 000 - მდე ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის წარმატებული სტუდენტი დაესწრო; პროექტი "ახალგაზრდული ორგანიზაციების მენეჯმენტის სკოლა", 80 ახალგაზრდა ლიდერის ჩართულობით განხორციელდა დაბა ბაკურიანში; პროექტი

"ხვამლი არენას სტადიონის გასწვრივ არსებული ბეტონის კედლის მოხატვა"; პროექტი "ლადო ასათიანის N50ში მდებარე სპორტული კომპლექსის მოხატვა"; პროექტი "საქართველოს სტუდენტური ფესტივალი 2024" - ის დახურვის ღონისძიება" და სხვა, ასევე პროგრამის ,,თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების დაფინანსება (წახალისება)" ფარგლებში, დაფინანსდა 130 მოსწავლის მომსახურება და 60 მასწავლებლის შრომითი საქმიანობის ანაზღაურება, ასევე 1740 სოციალურად დაუცველი ბენეფიციარის მომსახურება;

თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობა - (08 08 02 02) საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის" ახალგაზრდული და სპორტული ფილიალების ფუნქციონირებისა და ახალგაზრდული პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები, მათ შორის: პროექტი ელექტრონული პლატფორმა youthtbilisi.ge, თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ვებ-საიტი მოემსახურება თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, ცენტრის ხილვადობისა და მის სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდას, მომზადდა პლატფორმის, Youthtbilisi.ge-ს განვითარების გეგმა და საიტისათვის საჭირო ვიზუალური კომპონენტები; მიმდინარეობს პროგრამა „მერიასთან ერთად", 2024 წლის I კვარტალში პროექტის, ,,მერიასთან ერთად,'' ფარგლებში მოხდა, როგორც ცენტრის მიერ ორგანიზებული, ასევე ქ. თბილისში მოქმედი სხვადასხვა ახალგაზრდული ორგანიზაციის ინიციატივით გამართული ღონისძიებების მონაწილეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა;

ასევე დაფინანსდა საერთაშორისო პროექტები, ევროპის ახალგაზრდული ბარათი (EYCA) 2024 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში საუკეთესო პრაქტიკების გაზიარების მიზნით განხორციელდა არაერთი ონლაინ შეხვედრა პროგრამის საერთაშორისო წარმომადგენლებთან. „თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრი" ახორციელებს ევროდესკის პროგრამის იმპლემენტაციას საქართველოში, ქართველი ახალგაზრდებისთვის ევროპული შესაძლებლობების ფართო სპექტრის შეთავაზების მიზნით. EuroDesk-ის მიერ უზრუნველყოფილ სერვისებზე წვდომა კი შესაძლებელი გახდება ცენტრის დაკვეთით შექმნილი პლატფორმის EuroDesk.ge-ს მეშვეობით,

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გურამი ოქროპირიძე - სპორტის **და ახალგაზრდობის** მიმართულებით, ბევრი საინტერესო პროექტია დაწყებული, რომლებიც რამდენიმე თვეში სრული მასშტაბებით ამოქმედდება, განსაკუთრებით მულტიფუნქციური ცენტრები, რომელთა მშენებლობა დიდ დიღომში და ვარკეთილში მიმდინარეობს.

გივი ჩხარტიშვილი - მოგეხსენებათ, რომ დიღმის მასივში ისტორიული საცურაო აუზია, რომელიც ავარიულია, უნდა მოხდეს შენობის სრული დემონტაჟი და მოხდეს ახალი მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობა. წელს ბიუჯეტის თვალსაზრისით ასახულია 5 მილიონი ლარი. პროექტის პრეზენტაციასაც მალე ვიხილავთ, საკმაოდ ბევრი სპორტული სივრცე იქნება გათვალისწინებული, კორტები, საკალათბურთო მოედანი, საცურაო აუზი და სხვა. პროექტი ხელს შეუწყობს ჯანსაღი

ცხოვრების წესის დანერგვას ახალგაზრდებში. რაც შეეხება დიდი დიღმის და ვარკეთილის მულტიფუნქციურ კომპლექსს საკმაოდ რთული პერიოდის გავლა მოუწიათ კოვიდის ფონზე და აქედან გამომდინარე ვერ მოხდა შესაბამის ვადაში მათი დასრულება. ამ მასშტაბის სამუშაოებიც პირველად მიმდინარეობს ჩვენს ქალაქში და მინდა წარმატებები ვუსურვო საქალაქო სამსახურს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, ანგარიში (საანგარიშო პერიოდი, 2024 წლის I-ლი კვარტალი).

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამ ოქროპირიძე